პარასკევი, 1 თებერვალი 1908 წ.

ისარი

წელიწადი მეორე—№ 26

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახავს მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

ეკატერინე ცაბაძისა და შვილები მისი ილია, იასებ, სოფიო და ოლა და ივანე, ნიკო და მიხეილ ცაბაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ქმრისა, მეორენი—საყვარელი მამისა და მესამენი—დაუვიწყარ ძმის

ალექსი გიორგის ძის ცაბაძისას.

პანაშვიდი პარასკევს, 1-ლ თებერვალს, საღამოს 6 საათზე. გარდაცვალებულს გაასვენებენ საკუთარ სახლიდან (ოლგის ქუჩა, № 57) კვირას, 2 თებერვალს, დილის 9½ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და შემდეგ დაკრძალვენ კუკიის სასაფლაოზე. (1—96—1)

სიძეები გრიგოლ ივანეს ძე ბეკინოვი მეუღლით მარიამ ბეკანოვისათა, იასებ ოქროპირის ძე ბახტაძე მეუღლით ბარბარე ბახტაძისათა, სიმამრი მგელი ალექსი გერუდაშვილი და ბარბარე გერუდაშვილისა, განსვენებულის და ანნა თურმანიძე და ქმარი მისი იასებ თურმანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის

ალექსი გიორგის ძის ცაბაძისას.

პანაშვიდი პარასკევს, 1-ლ თებერვალს. გასვენება საკუთარ სახლიდან (ოლგის ქ. № 57) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 2 თებერვალს, დილის 9½ საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (1—70—1)

მღვდელი დავრენტი ღარია და მეუღლე მისი ქვეუქნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი დაუვიწყარ შვილების

ანატოლის და საშას

უდროვოდ გარდაცვალებას. გასვენება წმ. ნინოს სასაფლაოზე დღეს 1 თებერვალს დილის 10 საათზე. (სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან“).

ანნა იასეს ასული, ექიმი ვასილ მიხეილის ძე მეუღლით და შვილებით მანსვეტოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი საყვარელის ქმრისა, მეორე—მამისა, მესამე—მამამთილისა და მეოთხენი პაპის

მიხეილ იაკობის ძის მანსვეტოვისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (ბროსეს ქუჩა № 11), გასვენება სახლიდან ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე, იქიდან ვერის სასაფლაოზე კვირას, 3 თებერვალს, დილის 9½ საათზე. (2—73—1)

კნ. ელისაბედ წერეთლისა და შვილები მისი მიშა, პეტრე და ლევანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას და ვიწყარ დისა და დეიდის

მარიამ ივანეს ასულის ელიავასას.

დაკრძალვა ბათუმში, 1-ლ თებერვალს. (2—6.—2)

ქ. ბათუმში, 29 იანვარს ღამით, ძნელი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ ივანეს ასული ელიავასი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **გრიგოლ ლავრენტის ძე ელიავა** და შვილები. განსვენებულის გვამს პარასკევს, 1 თებერვალს, გაასვენებენ ბათუმის საკათედრო ტაძარში და შემდეგ დაკრძალვენ მართლმადიდებელთა სასაფლაოზე (2—6—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ქირურგიული და დედათა სნეულების
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
ე ქ ი მ ი ს ი ვ. ბ ო კ ე რ ი ა ს ი

გაიხსნება ამა წლის 20 თებერვლიდან.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, სახლი კირიზჩევისა, „იმპერიალი“-ს სასტუმროს გვერდით. (25—56—5)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი.

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, **ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს** დილით 9—11 საათ. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—2)

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ ა რ კ ო ვ ს კ ა ი ა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3 მდე და საღამოს 5—7-დი. ტფილისი ქ. ჩიკვაიძის სახლი, ზინა კნ. დადიშკელიანისა. (25—კვ.—2)

კბილის ექიმი
ე. ო.
ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—53—8)

ე ქ ი მ ი
ვ. ნ. მ ა გ ა კ ი ა ნ ი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების**. სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავებისა**. მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. პეპანიძისა. (25—წლ.)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი
მ. მ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ტფ. სახაზინო თეატრი რუსული ოპერა.

შაბათს, 2 თებერვალს, 1908 წ. გაიმართება ორი წარმოდგენა:

1) დილით **„ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ“** გლინკასი

მონაწილეობენ: ქ-ნნი სავჩენკო, ჩარდოკლი; ბ-ნნი გავრილოვი, ურინევი, კუზმინი, პრავდინი, იუჩენკოვი. ლოტბარი **ა. პ. ფალიაშვილი**.

დასაწყისი დილის 12 საათზე. დაკლებული ფასებია.

2) **საღამოს** ჩვეულებრივის ფასებით **ვინშ. კოპპოლას** მონაწილეობით

ბ ო გ ე მ ა მუსიკა პუჩინისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ოკუნიოვა, ტურჩანინოვა; ბ-ნნი: კოპოლა, გავრილოვი, გრინიოვი, ლეონიდოვა, სიბირიაკოვი, ენგელ-კრონი. ლოტბარი **მ. მ. გოლინკინი**.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

კვირას, 3 თებერვალს, ორი წარმოდგენა: 1) **დილით** დაკლებულის ფასებით: I. **„АСКОЛЬДОВА МОГИЛА“**, ვერსტოვსკისა. მონაწილეობენ: გორინა, რობინსკაია; აკიმოვი, გავრილოვი გრინევი, დე-რობერტი, ენგელ-კრონი და სხვანი. II. ბალეტი **„ТИКИНСКАЯ ФЕЯ“**. **დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.**

2) საღამოთი, ჩვეულებრივის ფასებით, **ვინშ. კოპპოლას** მონაწილეობით ოპერა

„РОБЕРТ-ДЬЯВОЛ“

მონაწილეობენ: ქ-ნნი მარკოვა, პოპოვიევა; ბ-ნნი გავრილოვი, გრინევი, კოპპოლა, კუზმინი, პლატონოვი, სიბირიაკოვი.

ლოტბარი **მ. მ. გოლინკინი.** დასაწყისი 8 საათზე.

ანონსი: ორშაბათს, 4 თებერვალს, „პიკოვაია დამა“ ჩაიკოვსკისა. ხამშაბათს, 5 თებერვალს, **ვინშ. კოპპოლას ბენეფისი**, წარმოდგენილ იქნება „ჰუგენოტები“ და «ქიდოვკა». (4—2)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

სდებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—285)

კბილის ექიმი
ალ. ხ ო ლ ო ღ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ე ქ ი მ ი ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (კვირას გარდა). სლეპცოვსკაია № 5 (ანსტას. ქუჩ. კუთხე). (წ.)

ქ. ქუთაისში
ე ქ ი მ ი ი. ი. ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, შარდისას და კანით ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—21)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო.

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.
რიდევლი—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.
ანნენკოვი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.
ერმოლაევი—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.
პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
ანანოვი—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. პარასკ. გარდა.
ითხელაშვილი—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.
ზოლოვსკი—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.
გორადლევიჩი—შინაგ. ყოველ დღე 11½—1½ საათ.
ინაევი—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.
ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.
ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.
ნევშტროევა—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.
პავარსკი — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—93)

კბილის ექიმი
ი ო ს ე ბ ზ ა ქ ა რ ი ა ს-ძ ე კ ა ნ დ ე ლ ა კ ი

იღებს კბილის სნეულ ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს და ღრძილებს; ღებს უვარგის კბილებს აუტკიებლად, აშორებს პირიდან ცუდ სუნს, უკეთებს პლომბებს ყოველგვარ მასალისაგან და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეტოდზე; კაუჩუკზე, პლატინაზე და ოქროზე, აგრეთვე სხამს კბილებს შტიფტებზე უპლასტინკოთ და კბილებს პროფესორ ლოვანის მეტოდზე, ვორონცოვის ძეგლის ახლოს, რაზიეჟი ქუჩა № 11 იღებს 9—2 და 4—7. (25—ნ.—17.

ქუთაისში
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი
ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო კაბინეტი
მ ი ხ ე ი ლ ვ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—41)

თვალის ექიმი
ზ. მ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე

კორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—554—22)

„ტფილისის სობრ. ნიე“.

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ პარასკევს, 1 თებერვლისთვის დანიშნულია საზოგადო კრება, რომელიც გაგრძელება იქნება 15 იანვრის საზოგადო კრებისა. ამ საზოგადო კრებაზე მოხდება არჩევნები მამასახლისების კანდიდატებისა. საზოგადო კრების დასაწყისი საღამოს 9 საათზედ. (2—44—2)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს თავის წევრებს, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 2 თებერვალს, 1908 წ. დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა სახლი დ. ზ. სარაჯევისა).

განსახილველია:

1. 1907 წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა.
2. პროექტი მომავალ სამუსიკო სასწავლებლის წესდებისა.
3. არჩევა საპატიო და ნამდვილ წევრებისა.
4. არჩევა გამგეობის შვიდ წევრისა და მათის კანდიდატებისა.
5. მორევიზიე სამი წევრის არჩევა.

შენიშვნა. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ წევრებს, ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, შემოიტანოს საზოგადო კრების დღეს, 2 თებერვალს. (3—2)

ი ყ ი დ ე ბ ა
სოფლის აფთიაქი

პირობების გაგება შეიძლება სოფ. ილდოშაში სოფ. აფთიაქში. (3—ფ.—3)

ქალაქ ტფილისის ვაჭართა საურთიერთო
დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს
საზოგადოების

გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ **საგანგებო კრებაზე** ამა წლის 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ტფ. ბირჟის ბინაზე. განსახილველი საგანი: დახმარების აღმოჩენა ხოსროევის ქარვასლის დაწვისაგან დაზარალებულთათვის. წევრებს სთხოვენ შესავალში წარადგინონ თავისი საწევრო ბილეთები. (2—2)

ავლაბრის თეატრში

კვირას, 3 თებერვალს, სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთაგან დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა.

ექიმი შტოკმანი

დრ. 5 მოქმ. იბსენისა თარ. პოლუმორდვინოვ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი თ. აფხაზიშვილი, ს. შალამბერიძე; ბ-ნნი დ. ჩარკვიანი, ნ. გოცირიძე, გ. ჯაბაური, კ. ხახანოვი. დ. ბაქრაძე, გ. ანაშვილი და სხვანი.

ბილეთების ფასი 20 კაპ.—2 მან.

დაიწყება დილის 12 საათზე.

რეჟის. დ. ჩარკვიანი. გამგე ალ. ს. ლანდი. (3—უ—2)

ტფილისი, 1 თებერვალი

ცოდნის წყურვილი, ჩვენი დროის დამახასიათებელი ცოდნის წყურვილი! გესმით, მკითხველო, რაოდენი ძალაა ჩაქსოვილი ამ წყურვილში, რა ფართო ისტორიული სოციალურ და პოლიტიკურ პერსპექტივებს შეიცავს იგი? გესმით, რა ღრმად განსხვავდება იგი იმ ძველი ცოდნის წყურვილისაგან, რომელსაც მთელი განვლილი საუკუნის განმავლობაში უწევდნენ კუდს ქართველი ერის მოწინავე ელემენტები? დიაღ, კუდს უწევდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ.

ცოდნა ცოდნაა,. უპარტიო და ობიექტიური. დღეს და გუშინ, წელს და ორმოცი წლის წინად ცოდნა ისევ ცოდნაა, მაგრამ ცოდნის წყურვილი კი ეხლა არსებითად სხვა ხასიათისაა, ვიდრე წინად. დღევანდლამდე ცოდნა ქართველ ხალხის თვითშეგნებაში ერთ-ერთი მოხერხებული იარაღი იყო ყოველდღიურ ბრძოლის არსებობაში გამარჯვების მოსაპოვებლად, ერთ-ერთი ფორმა იყო ცხოვრების არსებულ პირობებთან მონური შეგუებისა. მონები ვიყავით, მონურად ვცხოვრობდით და ცოდნის წყურვილიც მონური გვქონდა. შეგნებულად თუ შეუგნებლად—ეს ამ შემთხვევაში სულ ერთია, საქმე ისაა, რომ დღემდე ცოდნა მონურად გვწყუროდა. მონური იყო ის ცოდნის წყურვილი, რომლის ღირებულებაც სახელმწიფო ან სავაჭრო დაწესებულებებში სამსახურის შოვნით იზომებოდა; მონური იყო ის ცოდნის წყურვილიც, რომლის მნიშვნელობაც პარტიულ კამათში გამარჯვებით ფასდებოდა; მონური იყო ის ცოდნის წყურვილიც, რომლის მიზანსაც პარტიული გავლენის გაძლიერება შეადგენდა. ცოდნა ტყვეობაში იმყოფებოდა და არც არავის სწადდა იმისი გამოტანა თავისუფალ ჰაერზე ასაყვავებლად. ვერც ყვავოდა იგი. თავისუფლებისაგან განდგომილი და განშორებული, იგი ცოდნის წყურვილი არ ანვითარებდა თვითმოქმედებას, არ აათამაშებდა ადამიანის სულიერ ძალებს, არ ანოყიერებდა ნიჭს, გზას არ უხსნიდა შემოქმედებას. ცოდნას კუდს უწევდნენ, ცოდნა კი ჩინებს და ჯამაგირებს ვერ გასცდენოდა. ცოდნას გუნდრუკს უკმევდნენ, ცოდნა კი ერთი ნაბიჯითაც არ წასწევდა წინ ერის ცხოვრებას. ცოდნის წყურვილი წინადაც იყო, მაგრამ იგი წყურვილი მონური იყო და ამიტომ მკვდარიც.

ეხლა? ცოდნის წყურვილი ეხლაც არაა ჯერ სრულიად განთავისუფლებული წარსულ მონურ სიცოცხლის ტრადიციებისაგან, მაგრამ იგი უკვე ისუნთქავს თავისუფლების მომხიბლავ ძალას და უკვე მძლე მძლედ ანგრევს მონობის ზღუდეებს. ცოდნის წყურვილი და მსახურება პრინციპიალურად უკვე გაეყარნენ ერთმანეთს. აღარა ჩანს დამცველი იმ აზრისა, ვითომც ცოდნა სამსახურის საშოვნელად იყოს საჭირო. მსახურების ნაცვლად ცოდნა თვით-მოქმედების პრინციპს დაუკავშირდა. ცოდნა გვწყურიან, იმიტომ რომ თვით-მოქმედი

ადამიანები ვართ და თვით-მოქმედების განვითარება გვწადიანო—აი, ხასიათი ეხლანდელი ცოდნის წყურვილისა. ეს ძველი კუდით საწევი და სათრევი დამპალი ცოდნის წყურვილი არ არის; ეს საღი ადამიანის საღი წყურვილია. ამ წყურვილის დაკმაყოფილება არც ჩინებს და ორდენებს შეუძლიან, არც ჯამაგირს და პენციებს, არც პარტიულ აგიტატორობას და პარტიულ კამათისთვის დახელოვნებას... იგი წყურვილია უზომო და დაუსრულებული, ისე როგორც ადამიანის სულიერი ძალა და კაცობრიობის განვითარება თვით-მოქმედების გზაზე.

ცოდნა ობიექტივურია და უპარტიო. იგი უცვლელია, ცოდნის წყურვილი კი იცვლება. წინად მონური წყურვილი გვქონდა, ეხლა თავისუფალი. წინად ცოდნა სამსახურისთვის გვინდოდა, ეხლა თვითმოქმედებისთვის. სამსახურის პოლიტიკა დამარცხდა, დამარცხდა ქართველ თავად-აზნაურობასთან ერთად. იგი დამარცხება ძვირად დაუჯდა ხალხს, იმის ეროვნულ კულტურას, ეროვნულ თვითმყოფელობას, ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებას, მაგრამ ამ დამარცხებამ გაჰკაფა გზა თვითმოქმედების პრინციპისთვის და დღეს ჩვენი მომავალი იმათ ხელშია, ვისაც თვითმოქმედების ფასი ესმით. თვითმოქმედების პრინციპი ჩვენს ცხოვრებაში ჯერ ისევ ახალი, ნორჩი პრინციპია. იმისი პირველი საქმე კრიტიკაა და ეს კრიტიკა ყოვლის უწინარეს ცოდნის წყურვილის მდგომარეობას ითვალისწინებს. ითვალისწინებს და ანგარიშს უწევს იმ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა ჩვენში უკანასკნელ წლებში ცოდნის გავრცელებასა და პოლიტიკურ პარტიების შუა. ჩვენ ვიცით, რა ხასიათისაა ეს ურთიერთობა.

სამსახურის პრინციპისაგან დატყვევებული ცოდნის წყურვილი თავისუფლებას ეძებდა, დააღწია კიდეც მან თავი რაოდენსამდე მაინც ამ ტყვეობას, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩასჭიდეს მას ხელი პოლიტიკურმა პარტიებმა და დაიმორჩილეს იგი. დაიმორჩილეს იმ აზრით, რომ ცოდნა პოლიტიკურ პარტიებს თავის პარტიულ გავლენის გასაძლიერებლად გამოეყენებინათ. ცოდნა ახალ ტყვეობაში ჩავარდა. ამ ტყვეობის ნიადაგზე აღიზარდა ახალი ტიპის „მცოდნე კაცი", რომლის მთელი განსწავლულება პოლიტიკურ და პარტიულ პამფლეტების გაზეპირებისაგან შესდგება. დაიბადა ახალი „მცოდნე კაცი", რომლის მთელს სიბრძნესაც პარტიული კატეხისმო შეადგენს. გაჩნდა ახალი „მცოდნე კაცი", რომელიც ცხოვრების და ისტორიის ყოველ საკითხზე პასუხს პარტიულ კატეხისმოდან იძლევა. ამ „მცოდნე კაცების" წყალობით იწერება დღეს ისტორიის მაგიერ ისტორიული ლეგენდა, მოთხრობის მაგიერ პარტიული გრძნობების მოთქმა, მეცნიერულ წიგნების ნაცვლად პარტიული პამფლეტები, პუბლიცისტური სტატიების ნაცვლად საპოლემიკო წერილები... თვით-მოქმედების პრინციპთან კავშირით განსპეტაკებული ცოდნის წყურვილი კი დაუკმაყოფილებელი დარჩა. ნუ გგონიათ ეს წყურვილი პარტიულ ტყვეობაში გაითქვაფოს, ან პარტიულ ბიურკილების სიმძიმისაგან მოკვდეს. ეს შეუძლებელია. ამ წყურვილს უკვე იმდენი შინაგანი ძალა გააჩნია, რომ ყველაფერს დასძლევს, ყველაფერს დაანგრევს და თავისას კი მაინც გაიტანს. რა ვუყოთ, რომ დღეს ჯერ კიდევ ბევრს არა აქვს შეგნებული აზრი ცოდნის განთავისუფლების საჭიროებისა პარტიულ ხელმძღვანელობისაგან? გავა ხანი და ამ აზრს ყველა ერთნაირად შეითვისებთ პარტიულ ფიზიონომიის განურჩევლად. ამ ნაყოფიერ მომავლის ნიშნები დღესვე უკვე ნათლად ჩანს იმ ბანაკშიც კი, რომლის მესვეურებმაც ორიოდე დღის წინად საჯაროდ დაიკვეხეს, „სწორედ პარტიულ ხელმძღვანელობას" დავუქვემდებარებთ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასო, დაიკვეხეს და აუწყეს ქვეყანას, „ერთის კალმის მოსმით" დავამარცხეთ ჩვენი მოწინააღმდეგენიო. გაზეთ „აზრის" 30 იანვრის ნომერში მოთავსებულია ბ—ალ. რ—ძის სტატია „რა ვაკეთოთ?" გადაიკითხეთ ეს წერილი ყურადღებით და ნათლად დაინახავთ, რა მტკიცედ და ენერგიულად ეძებენ ცოდნის შეძენის გზას ქართველი მუშები, რა სასტიკ კრიტიკას უწევენ ისინი თავის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატებს, რა უიმედოდ უცქერიან მათს „განმანათლებელს" მოღვაწეობას. ეს გულწრფელი კრიტიკაა, ცოდნის შეძენის გულწრფელი წყურვილისაგან გამოწვეული. ამ სტატიის ავტორს ჯერ არ დაუკარგავს რწმენა, რომ კლასსიური პარტიები და ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ ცოდნის გავრცელებას მშრომელ ხალხში, მაგრამ ეს რწმენა— უბრალო ხარკია, რომელსაც იგი უხდის ჩვენი დროის გატაცებას პარტიობით. გულწრფელი ცოდნის წყურვილი თავის დროზე ისეთსავე სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებინებს მას პარტიების განმანათლებელ მოღვაწეობას, როგორი კრიტიკაც გაუტარა მან თავის წერილში პარტიების სარევოლუციო ფრაზეოლოგიას. გავა დრო და ზემოხსენებულ წერილის ავტორთან ერთად ქართველი სოციალდემოკრატი მუშებიც შეიგნებენ, რომ ცოდნა პარტიულ ხელმძღვანელობის გარეშე უნდა იდგეს.

ახალი ამბავი

✦ **უბედურება ვანში.** ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ ქალაქ ვანში (ოსმალეთის სომხეთში) სომეხთა ეკკლესიაში პოლიციას აღმოუჩენია დიდძალი ყუთები თოფებით, პატრონებითა და დინამიტით; როცა სალდათებს ყუთები მიჰქონდათ, მათ თავს დასხმიან სომეხი რევოლიუციონერები. ამტყდარა საშინელი სროლა, რომლის დროს დინამიტი აფეთქებულა საშინელის ძალით. ხმა არის, რომ მთელი სომეხთა უბანი აფეთქდა და დანგრეულია; დიდძალი ხალხი დაშავდა და დაიღუპაო.

✦ **ყუმბარის გადაგდება ბაქოში.** ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ 27 იანვარს ბაქოში ყუმბარით დასჭრეს პოლიცმეისტერი ბუშენი. ამის შესახებ „კავკაზ"-ში შემდეგ დაწვრილებით ცნობებს ვკითხულობთ: პოლიცმეისტერი თეატრიდან მიდიოდა საიდუმლო პოლიციის უფროსს ორლოვსკისთან ერთად. როცა ოლგის ქუჩაზე გავიდნენ, ლალაიანცის პასსაჟის პირდაპირ ვიღაც უცნობმა მათ ესროლა ყუმბარა. მოხდა საშინელი აფეთქება და დაჭრილნი აღმოჩნდნენ: პოლიცმეისტერი ბუშენი, როტმისტრი ორლოვსკი, ამის მცველი, მე-8 კლასის გიმნაზიელი მულიგინი, უცნობი მანდილოსანი და ორი უცნობი, სულ შვიდი კაცი. იქვე მოკლულ იქმნა ყუმბარისაგან ბაქოს ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფე ისმაილ ყულიბეგოვი. დაჭრილები ბუშენი და ორლოვსკი აღიარებენ, რომ ყუმბარა სწორედ ამ მოკლულმა მოსწავლემ გადაისროლაო, ხოლო გიმნაზიელი მულიგინი ირწმუნება, ყუმბარის გადამგდები სხვა იყო, შავ ტანისამოსში გამოწყობილი, რომელიც გაიქცა და გადიმალაო. ბუშენი და ორლოვსკი მძიმედ არიან დაჭრილები, ხოლო დანარჩენები უდრო მსუბუქად. ოლგას ქუჩა მაშინვე შეჰკრეს ჯარებითა და პოლიციით, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს; გაჩხრიკეს აგრეთვე მოკლულ ყულიბეგოვის ბინაც.

✦ **უმაღლეს კურსებზე** უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად გუშინ მოხდა კრება ლექტორებისა, რომელთაც გადასწყვიტეს თავის ამხანაგის, გარდაცვალებულის მიხ. თამამშოვის სახსოვრად, დააარსონ კურსებზე სტიპენდია და ვიდრე ეს საქმე განხორციელდება, გაანთავისუფლონ ხუთი მუდმივი მსმენელი სალექციო სასყიდლისაგან. ამას გარდა დასაფლავების დღეს კურსებზე ლექცია არ მოხდება და ლექტორები დაესწრებიან დასაფლავებას.

✦ **შეიხ ულ-ისლამი.** ნამესტნიკმა ნება დართო, რომ ახალ შეიხ-ულ-ისლამის დანიშვნამდე დროებით ამ თანამდებობას ასრულებდეს ამიერ-კავკასიის შიითთა სასულიერო მმართველობის უფროსი წევრი ახუნდ-აბბას-ყული-ბეგ სულთანო ჰუსეინბეგოვი.

✦ **საექიმო საზოგადოებაში.** დღეს, 1 თებერვალს, საექიმო საზოგადოების კრებაზე ექ. ფეოდოროვი წაიკითხავს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ცემისა და ბაკურიანის ჰავას ჰლექით ავადმყოფებზე.

✦ **ინსტრუქტორი ლეჩხუმისათვის.** ლეჩხუმის მაზრის უფროსი ენკელი შუამდგომლოეს კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის წინაშე, მეაბრეშუმობის მცოდნე ინსტრუქტორი გამოგზავნეთ ლეჩხუმში, რადგან ხალხი ენერგიულად ეწევა ამ მეურნეობას, მაგრამ საჭირო ცოდნა აკლიაო.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა.** ოფიციალური სტატისტიკური ცნობები: გასულ წლის 11 თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზას შემოსვლია მგზავრებისაგან და საქონლის გადაზიდვიდან სულ 25.515.540 მანათი, წინა წელთან შედარებით 2.232.836 მანათით მეტი; დაუხარჯავს იმავ ხნის განმავლობაში 19.870.185 მანათი, ასე რომ წმინდა მოგება დარჩენია 5.645.355 მანათი, წინა წელთან შედარებით 492 ათასი მანათით მეტი.

✦ **ფილარმონიულ საზოგ. კრება.** ხვალ, 2 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საზოგადო კრება ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიში შემოსავალ-გასავლისა, ინსტრუქცია დასაარსებლად განზრახულ სამუსიკო სასწავლებლისა; დასასრულ უნდა ამორჩეულ იქმნან გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. საანგარიშო წლის დამდეგს საზოგადოებას ჰქონია 191 მ.; წლის განმავლობაში შემოსულა: 8 აპრილს გამართულ კონცერტიდან 504 მ. 82 კ., 7 ივნისს გამართულ ოპერიდან 761 მ. 52 კ., საწევრო გადასახადი 149 მ. და სხვა წვრილმანი შემოსავალი 11 მ. 30 კ. სულ უდრიდა 2008 მ. 3 კ. აქედან წლის განმავლობაში დახარჯულა ოპერის დასადგმელად 835 მ., კონცერტისა 459 მ. 35 კ. და სხვა, სულ საანგარიშო წელს დახარჯულა 1862 მ. 85 კ.

✦ **სომხური საქველ-მოქმედო საზოგადოება** ტფილისის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ, თანახმად ახალის წესდებისა, გააფართოვა სამოქმედო ასპარეზი. ამიერიდან საზოგადოება კულტურულ მუშაობას გასწევს მთელს კავკასიაში. ახალ წესდების დამტკიცების შემდეგ პირველი სხდომა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ექნება 2 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. ვიდრე საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, კრებას მოხსენდება თუ როგორ განვითარდა სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება 1881 წლიდან.

✦ **მოწოდება ქველმოქმედთ.** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი:

9 იანვარს ღამით დაიწვა მთელი ქარვასლა ხოსროევისა ყველა მაღაზიებით, დუქნებით და სახელოსნოებით. ტფ. გაჭართა საზოგადოების გამგეობამ გამოარკვია, რომ ცეცხლისაგან დაზარალდა 50 კაცზე მეტი; სულ მათი ზარალი 300 ათას მანეთს აღემატება. უმრავლესობას დაეწვა ყველაფერი, რაც გააჩნდა და დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ.

გაჭართა ურთიერთო დახმარების საზოგადოება მიჰმართავს ტფილისის ყველა მცხოვრებთ მოწოდებით დაეხმარონ გადამწვართ და თავიანთ შეწირულებით შეუმსუბუქონ გაჭირვებაში ჩავარდნილთ უგიდური მდგომარეობა. შემოწირულება მიიღება ბირჟის საზოგადოების ბინაზე (სომხის ბაზარი).

✦ მიიღება ახალი წიგნი ფრანგულ ენაზე „ხედოგნება კავკასიაში", თხზულება მურიესი, ახალი გამოცემა.

✦ მიიღება საუმაწვილო ჟურნალის „ნაკადული"-ს №-2 № (მეორე წლოვანთათვის) შემდეგის შინაარსისა: *** (ლექსი) მ. მღვიმელისა, ურუ-ცქვიტა და ხაბაი.—ი. ევდოშვილისა, მატარა კირილე.—(დასასრული) თარგმანი ალ. ანტონოვსკისა, ნადირობა.—ი. მჭედლიშვილისა, რად გვიამბო დედამ ეს ამბავი (გაგრძელება) III სამონი—თარგმანი ან. ამილახვრისა, მადლიერი ჩოლუკვი—თარგმანი მ. დემურიასი, მაიმუნების ძმობა.—(გაგრძელება) დ. ღოღობერიძისა, ნარევი.—ა) მოხერხებული კაცი,—ბ) გამოცანები,—გ) რებუსი და სხვა.

ფელეტონი

ინდოეთის სიბრძნე

(ფილოსოფიური ეტიუდი)

თავი III*)

ამრიგად, ღმერთის შესახებ ინდოელ ბრძენთ ორგვარი აზრი აღფთოვანებდა. ერთი იყო ღმერთი დასურათხატებული, ადამიანის თვისებებით შემკობილი, ხოლო მეორე იყო ღმერთი სხეულს და ფორმას მოკლებული, ადამიანის გონების მიერ უხილავი· აი ამ ღმერთის შესახებ ამბობდნენ, იგი არ არის, არც ეს, არც ის. ხოლო ღმერთის შესახებ, რომელსაც განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა, ამბობდნენ, იგია ყოვლად ძლიერი, ყოვლად მცოდნე, მართალი, მოწყალე და სხვა. იგი იყო ღმერთი მამა, პიროვნება, შემოქმედი და მმართველი ამა ქვეყნისა.

ხოლო ვიმეორებთ, ამ თვისებებს კი ანიჭებდნენ ღმერთს რელიგიის მასწავლებელნი, მაგრამ არ ივიწყებდნენ, რომ ჭეშმარიტი ღმერთი უხილავია მათთვის, რომ ბოროტ კოსმიკურ ძალის, „უვიცობის" მეოხებით ადამიანი ყოველთვის იძულებულია იხილოს ღმერთი ადამიანის მსგავს სურათების საშუალებით.

ეს ღმერთი—ბრაჰმანი, რომელიც „ყოველივეა ყველაფერში", ერთია. ამ ღმერთის შეგნება ადამიანის მიერ სრული არ არის. კონკრეტული ღმერთი, ეს არის ცდა ადამიანის გონიერებისა მიუწვდომელ არსის ხილვისა—ბრაჰმანისა, ატმანისა, სულისა, ღმერთისა—იმ არსისა, რომლის ხილვამდე გონება უსურათებოთ ვერ ამაღლდება.

მაგრამ აქ ბრამინებს სხვა გვარი კითხვა ებადებოდათ: რა გვარად უნდა გავიგოთ ორი სამყაროს არსებობა—ატმანის სამყოსი და წარმავალ მოვლენათა სამყოსი? თუ ატმანი „ყოველივე ყველაფერშია", რანაირად უნდა გავიგოთ ამ წუთი-სოფელში ტანჯვისა და ბოროტების გამეფება? ინდოელნი ბრძენნი ამ კითხვას კი აყენებენ, მაგრამ მის განმარტებას ვერა ჰპედავენ. და როდესაც ამ ფარგალში აზროვნებას იწყებენ, მათი აზრი თითქოს იკარგება განყენებულ მცნებათა სამყოში. შეუცნობელის კარის წინაშე ლოღიკა თავის თავის გარეშე იკლაკნება და ბოლოს საკუთარ კუდსა ღრღნისო, ამბობს ნიცშე.

ასე თუ ისე, დაყენებულ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო იყო და აქაც ინდოელთა აზროვნებამ თეორიულ გზას აუხვია და ისევ მეტაფიზიკურ დოგმატიკას მიჰმართა. ზემოდ აღნიშნულ თეორიულ წინააღმდეგობის მოსასპობად მან წამოაყენა ორი მცნება, ერთი არის „უვიცობის" იდეა, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი და რომელიც არის ილიუზიის, თვალთმაქცობის, ტანჯვის და ბოროტების შემქნელი; მეორე არის „კარმახის" იდეა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცუდ და კარგ ჩვენს ყოფა-ქცევას სამაგიერო გადაეხდება, როდესაც ჩვენ ხელ-ახლად დავიბადებით.

აწმყო სიცოცხლის ბოროტება ნაყოფია ჩვენი საკუთარის ყოფა-ქცევისა წარსულ სიცოცხლეთა ხანაში. დღეს ანგარიშს უწევთ იმ ბოროტებას, რომელიც ჩავიდინეთ წარსულში, მაგრამ ამ უბედურების გასწორება ჩვენს ხელშია. თუ დავიწყებთ ისეთი ცხოვრება, როგორიც შეეფერება ჭეშმარიტ სიცოცხლეს, არაფერი არ დაიკარგება არც ავი, არც კარგი და ადამიანთა ხელშია თავისი მომავალი არსებობაც ბედნიერი გახადოს. ადამიანთა ხელშივეა სრულ ნეტარებამდის და უმაღლეს სიკეთემდე მიღწევა. იქ მიიყვანს ადამიანს ცოდნა, რომელიც აუხსნის რა მას სიცოცხლის ჭეშმარიტ აზრს, ეტყვის: გიყვარდეს შენი მოყვასი ისე, როგორც შენი სული, შენი არსი და „მე" გიყვარსო.

ბრამინთა ეთიკა უკიდურესს წერტილამდე განვითარებული ასწავლის, გიყვარდეს ადამიანში არა წარმავალი თვისებანი, როგორც მაგალითად ძალა, სილამაზე, ჭკუა და სხვა, არამედ ის, რაც უცვლელია მასში—ატმანი, „მე", სული, ბრაჰმანი ღმერთი. „გიყვარდეს ქმარი, იმიტომ კი არა, რომ იგი ქმარია შენი, არამედ იმიტომ, რომ მასში სული სცოცხლობს, რომელიც უნდა გიყვარდეს", ვკითხულობთ უპანიშადებში. „ცოლი იმიტომ კი არ უნდა გიყვარდეს, რომ იგი შენი ცოლია, არამედ იმიტომ, რომ მასში სულია, რომელიც უნდა გიყვარდესო".

როდესაც ადამიანში მისი სული გვიყვარს, ამით ღმერთი გვიყვარს, ხოლო ღმერთში, ბრაჰმანში ყველანი ერთდებიან და უმაღლეს ნეტარებას აღწევენ. ჭეშმარიტი ცოდნა იქითკენ გვიხმობს. „ყველაზე სასარგებლო, სასიხარულო და სასიქადულო ცოდნა არის ცოდნა ერთის ბრაჰმანისა. ვინც იხილა იგი, თითონ ბრაჰმანი ხდებაო".[2]) ასე ამღერის ვედანტა.

ჩვენ ვნახეთ, რომ ძველ არიელთა რელიგიოზურმა აზრმა განვლო რამდენიმე საფეხური და თავის მსვლელობაში იგი ყოველთვის „ჭეშმარიტ" ღმერთს ეძებდა, რათა ამ ღმერთში მოეპოვებინა სიცოცხლის ბოროტებისაგან განთავისუფლება, მაგრამ ინდოელთა განვითარების მსვლელობაში ორი ტიპიური ფაზა შესანიშნავი პირველი ფაზა ვედიზმია, მეორე ფაზა ვედანტიზმია, ვედიზმის უმაღლესი განვითარება. ყველა ამაზე უკვე გვინდა ბაასი. ქვემოდ უნდა თვალ ყური ვადევნოთ ინდოელთა რელიგიოზურ აზრის განვითარების ახალ ფაზისს. ეგ არის ბუდიზმი.

ბუდიზმს ასეთი ღრმა გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაზე. ეს გავლენა ისეთი ვრცელი იყო არიელ და არა-არიელ ხალხთა მასებში, გარდა ამისა, ბუდას რელიგია თავის ღრმა ეთიკურ შინაარსის გამო ისეთ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის, რომ ყველა ამის გამო საჭიროა ზედ მიწევნით შევისწავლოთ ეს რელიგიო-ფილოსოფიური სისტემა, რომელსაც მართალია ვედანტას ფილოსოფიასთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო, ხოლო რომელიც სულის უკვდავების და ღმერთის,—ამ ძირითად კითხვების განმარტების დროს, სხვა გვარ საბუთებს ხმარობდა, რაზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

თავი IV.

ბუდიზმის ძირითადი თვისება მოძღვრებაა ტანჯვის შესახებ. „დაბადება, სიბერე, სიკვდილი—ტანჯვაა, კავშირი არა საყვარელ ადამიანთან ტანჯვაა, განშორება საყვარელთან—ტანჯვაა, მიუწვდომელი სურვილი—ტანჯვაა"[3])". ბუნებაში მუდმივი არაფერია. არ არსებობს არსი (бытіе), არის მხოლოდ ყოფნა (бываніе) გარდა ამისა, ყოველი ცხოველი არსება იბრძვის, ძლიერი ანადგურებს უძლურს, „ხვლიკი ჭიანჭველასა სჭამს, გველი სჭამს ხვლიკსა, ხოლო ძერა პირველსაც და მეორესაც სჭამს. მეთევზე წავს (Выдра) ართმევს ნადავლსა, „სკოროპუტი" იჭერს ბულბულსა, ბულბული კი ცრულ პეპელებზე ნადირობს. ყოველი ცხოველი ჰკლავს იმისთვის, რომ თვითონვე იქმნას მოკლული. მკვლელობა არის ყველგან, სიცოცხლე სიკვდილით საზრდოობს".

ხოლო იქნება აქა ქვეყნის სიამენი ბედნიერებას გვაძლევენ? იქნება ჯანმრთელს და ლამაზ ქალს შეუძლიან სიხარულით აღავსოს ჩვენი გული? მაგრამ, არა, როცა ჩვენს წინ ლამაზი ქალია, არ შეიძლება გუნებაში არ გავიფიქროთ: „ბაგენნი შენნი სურნელებიანნი არიან, მაგრამ მალე დასჭკნებიან. ხელები შენნი ნაზნი არიან, ხოლო მალე გახმებიან"[4]). მართლაც რა არის ადამიანის სხეული? სხეული ძვლებით და ძარღვებით არის შეკავშირებული, ხორცისაგან შეზავებულია, კანი აქვს გადაკრული... შიგნით სტომაქი და ღვიძლი აქვს, გული და ფილტვები, ტყირპი და თირკმლები, დორბლი და ლორწო (слизь), ოფლი და ლიმფა, სისხლი და ყვითა; მისი სახსრები (суставы) ქონით არიან გაჟღენთილი. ცხრა ბინძური ნაკადული მუდამ გამოდის ამ სხეულიდან: თვალებიდან ლორწო გამოდის, ყურებიდან გოგირდი, ცხვირიდანაც ლორწო, პირიდან ზოგჯერ ყვითა ზოგჯერ ნახველი, მთელი სხეულიდან ოფლი და ჭუჭყი გამოდის. ქალაში ტვინია... სულელი და უვიცარი ჰფიქრობს: რა მშვენიერია ეს სხეული? და როდესაც იგი მკვდარია, გასიებული, გალურჯებული, სამარეში ჩაგდებული, მახლობლები ყურს აღარ უგდებენ, ძაღლები და ტურები, მგლები და ჭიები, ყორნები და სვავები სჭამენ მას... მაშ ნუ ეტრფიალებით სხეულსა, არც მისი შინაგანით, არც გარეგნობით! . რა ბინძურია ეს სხეული, ორ ფეხზედ დამდგარი: იგი სამაგლად ჰყარს და აქეთ-იქიდან გაზდის. და აი ამ გვარ სხეულის პატრონი ადამიანი სხვებს ან მედიდურად ან სიძულვილით დაჰყურებს. მაშ რა არის ეს თუ არ დაბრმავება?.." [5]) „ტანჯულო ქვეყანავ! და თქვენ ხაცნობო და უცნობო ეოთის ხოოცის

*) იხ. „ისარი" № 25.

[1]) Ibid. 169.

[2]) ibid. 173.

[3]) Сакіа—Муни (Легенды о Буддѣ)—Шюрд.

[4]) ibid.

[5]) Сутта-Нипата (буддійская каноническая книга) рус. пер. Герасимова ст. 53.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის" 1-ლი № (მოზრდილთათვის) შემდეგის შინაარსის: სახალხო ნატვრა თანდილასი.—ლექსი შ. მღვიმელისა, ახალწლის შეხვედრა სოფელში.—ცქვიტისა, ბულბული დღე რატომ არა გალობს.—ლექსი ი. რაზიკაშვილისა, ნაძვის ხე.—თ. კანდელაკისა, წმ. გვრონიკას ზადრი.—ლევან სელმა დაკერძეფისა თარგმანი მაგ. დ—ძისა, სამშობლო ქვეყანა —ალ. ყიფშიძისა, კუნკოშოსი ალექსანდრე.—ალ. ყიფშიძისა, წერილები ფიზიოლოგიიდან.—ივ. გომართელისა, ბოტანიკური საუბარი, მითოლოგია —ტროადის ომი. ა. მიქაბერიძისა, ა) გასართობი ს. რომანიშვილისა, ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა და სხვ.

◆ 29 იანვარს, ავჭალის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა რაჭის მაზრის მცხოვრები ტიმოთე გმელიშვილი, რომელიც ამხანაგებთან ერთად აღნიშნულ ქუჩაზე მღვაჭრე ნიკამესთან მესულა და მუქარით ფული მოუთხოვნია.

◆ მატრყოფის ქუჩაზე მცხოვრებ ხიაფიღ ბაბეცკაიას, 30 იანვარს, მაყალში ცეცხლი გაუღვივია და თავის საწოლთან დაუდგამს. ცეცხლი მოხდებია ქვეშსაგებს და აქედან მძინარე ქალს. ბაბეცკაია გარდაიცვალა.

◆ კავკასიის სამხედრო საინჟინერო სამართველოს მიწის მზომელმა კონსტანტინე ანდრეევმა პოლიციას განუცხადა, რომ მას, 29 იანვარს საღამოთი, ოლგას ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონში ჯიბგირებმა ამოაცალეს 250 მან.

◆ 30 იანვარს, ორბელიანის ქუჩაზე, თავის სახლში თავი მოუწამლავს ვეისბეიტენის მცხოვრებს მარშა დათენბერგს. ქალი იმავე დღეს გარდაიცვალა.

◆ 30 იანვარს ტფ. პოლიცმეისტერმა მისწერა პოლიციის მოხელეებს, რომ ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა წინააღმდეგ ქალაქის სახლის პატრონები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სახლების წინ მიმოწყრეულ და დამტვრეულ ქვაფენილებს. ამიტომ პოლიცმეისტერი ბოქაულებს უბრძანებს, ჩამოიარონ ყველა უბნები და წინადადება მისცენ სახლის პატრონებს, მომავალ მარტის 1 რიცხვამდე გაასწორონ ქვაფენილები დამტკიცებულ გეგმის თანახმად.

ქუთაისის ქრონიკა

◆ ნაცვლად პ. ჩიქოვანისა, სავლეხო საკრებულოს მდივნად დაინიშნა გუბერნიის სასამართლოს მდივანი ბელიაცკი, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე დაინიშნა გუბერნიის სასამართლოს საქმის მწარმოებელი ტ. ასათიანი.

◆ გუბერნატორის განკარგულებით სატუსაღოდან განთავისუფლეს ებრაელი მოშიაშვილი, რომლის სახლში რამდენიმე თვის წინად ექსპროპრიაცია მოხდა და რომელიც დააპატიმრეს მას შემდეგ, როცა სამხედრო სასამართლომ გაამართლა ამ საქმის გამო სამართალში მიცემული ასათიანი და ცხაკაია. მოშიაშვილის შვილი კვლავ სატუსაღოშია.

◆ სატუსაღოს ზედამხედველის აბშილავას მოკვლის გამო დატუსაღებულ ვაჰარს გალუსტოვს ადმინისტრატიული წესით აგზავნიან ჩრდილოეთ გუბერნიებში.

◆ 31 იანვარს კლუბში იმართება საქველმოქმედო საღამო ილია ჭავჭავაძის სახელობის საქალაქო სასწავლებლის სასარგებლოთ. მთელი შემოსავალი მოხმარდება პედაგოგიურ მუზეუმის დაარსებას. საღამოს გამგეთ მოწვეულია ქ-ნი ბ. ზ. მაჭავარიანისა.

პრესსა

ომის ამბები მოსვენებას არ აძლევს „ნოვოე ვრემია"-ს თანამშრომელს, მენშიკოვს. აუცილებლად საჭიროა, პირველები ჩვენ დავეცეთ ოსმალებს, რადგანაც მხოლოდ ეს არის ჩვენი გამარჯვების თავმდებიო, სწერს მენშიკოვი „ნოვოე ვრემია"-ს თანამშრომელი ოსმალეთის შინაურ ცხოვრებას იხილავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ დიდი ომის დაწყება ოსმალეთს ვერ შეუძლიან; მენშიკოვი მერე რუსეთის შინაურ ცხოვრებას უბრუნდება, და აქაც სანუგეშოს ბევრს ვერაფერს ხედავს.

ოსმალეთის საუკეთესო და ძლიერ მოკავშირეთ გახდება კავკასიის ანარქია, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ვერც კი ჩააქრეს... ოსმალებს მხარს დაუჭერენ თავიანთი თანამემამულენი—ამიერ კავკასიის თსმალები, რომლებიც რამდენი ხანია პარტიზანულ ბრძოლას ეწევიან ამიერ კავკასიის ქრისტიანების წინააღმდეგ. კარგი მოკავშირე იქნება ოსმალეთისა კავკასიის კადეტურ-სოციალისტური პარტია (?!), როგორც იქიდან იტყობინებიან, რევოლიუციონერები მოუთმენლად მოელიან ამას, რათა გაილაშქრონ რუსეთისა და რუსის ჯარის წინააღმდეგ. ეხლავე არკვევენ, თუ რანაირი გაფიცვები უნდა მოხდეს, აზრადა აქვთ გზების გაფუჭება, ტრანსპორტების განადგურება და სხვ. ამას გარდა, რევოლიუციონერები ენერგიულად მუშაობენ ჯარში. საეჭვო არ არის, რომ, რაწამს ოსმალეთთან ომი დაიწყება, კავკასიის რევოლიუციონერები მაშინვე გაფიცვებს დაიწყებენ.

მახლას, რომ არც მენშიკოვია მარტოკა, მასაც კარგი მოკავშირენი ჰყავს.

პროექტი ქართულ გიმნაზიის რეორგანიზაციისა

რამდენისამე თვის წინად მ. ვ. მაჩაბელმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს, თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზედ განსახილველად, ტფილისის ქართულ გიმნაზიის რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. ბ-ნ მაჩაბლის მოხსენების შინაარსს დაახლოვებით გავაცნობთ მკითხველებს, რათა შეძლება მიეცეს ყველას საკუთარი აზრი შეადგინოს ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

28 წლის წინად, ამბობს თავის მოხსენებაში ბ-ნი მაჩაბელი, როდესაც თავად-აზნაურობამ სკოლა დაარსა, ცხოვრების სხვა პირობებში ვიყავით და სხვა მოსაზრებით იყო გამსჭვალული სკოლის დამაარსებელი წოდება; ხოლო რადგანაც გარემოება გამოიცვალა, ქართველ მოზარდთაობის სწავლა-აღზრდის ინტერესი მოითხოვს თავად-აზნაურობამ განიხილოს საკითხი იმის შესახებ, დარჩეს სათავად-აზნაურო გიმნაზია დღევანდელს პირობებში თუ საჭიროა რაიმე სხვა გზას დავადგეთო. უკანასკნელ წლებში მომხდარ ამბებისა გამო თავად-აზნაურობა ძლიერ დაღარიბდა და იმდენად დაეცა, რომ შესაძლებელია ერთად-ერთი მისი საცხოვრებელი სახსარი მიწა-წყალი სრულიად ხელიდან გამოეცალოს. მიწა-წყლის შესარჩენად თავად-აზნაურობა ვალდებულია გაარჩიოს, გამოარკვიოს, თუ როგორ უნდა შემცირებულ იქნეს თავად-აზნაურობის შემოსავლიდან სხვა და სხვა ხარჯები. თავად-აზნაურობა გულგრილად ვერ უყურებს იმ მოვლენას, რომ მიწა-წყალი კაპიტალისტებისა და უცხო ხალხების ხელში გადადიოდეს... მე-70 წლებში ძალიან ძნელი იყო ჩვენში სასწავლებლებისათვის ბავშვების მომზადება და ამიტომაც თავად-აზნაურობამ შექმნა მოსამზადებელი კლასები, რომელიც შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლად გადაკეთდა. ეხლა კი მრავალია პანსიონები, კერძო სასწავლებლები, კერძო პირნიც ბევრია, რომელთაც ახალგაზდობის მომზადება სასწავლებლებისათვის ადვილად შეუძლიანთ. გარდა ამისა სამოსწავლო უწყებას პოლიტიკური ტენდენცია შეჰქონდა სკოლაში და რათა მოზარდი ახალთაობა სრულ გადაგვარების გზას არ დასდგომოდა, თავად აზნაურობას ღონე რამ უნდა ეღონა ასეთ გამაუკუღმართებელ სასკოლო სისტემის წინააღმდეგ. რადგანაც ეხლა ძირიანად იცვლება სახელმწიფოს ცხოვრების პირობები, თავად-აზნაურობამაც უნდა შესცვალოს დამოკიდებულება სამოსწავლო უწყებასთან და ამ უწყების, მომავალ საერობო დაწესებულებებთან ერთად, უნდა დააკისროს მთელი ზრუნვა სწავლა-აღზრდის საქმისთვის. თავად-აზნაურობამ თავის მხრით უნდა იმეცადინოს მხოლოდ იმისთვის, რომ მთავრობის ყველა სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის სისტემა ძირიანად შეიცვალოს და სკოლა სრულიად განთავისუფლდეს პოლიტიკანობის ზედგავლენისაგან. აქამდე ამ საგანზე ხმის ამოღება შეეძლო მხოლოდ თავად-აზნაურობას, ეხლა კი ამ წოდებამ თავისი თავი მთელ ერის ინტერესების დამცველ მზრუნველად არ უნდა ჩასთვალოს, რადგანაც ქართველი საზოგადოება და ხალხი თავად-აზნაურობის ამ უფლებას არა სცნობს. ქართველთა ნაციონალურ წარმატებას, მათ სამშობლო ენას, ნაციონალურ სკოლას ეხლა ის შიში აღარ მოელის, რაც აქამდე იყო. მალე შემოღებულ იქნება ერობა, გაფართოვდება თვით მართველობა ისე რომ საეროვნო უფლებების დაცვის საქმეში მთელი ქართველი ხალხი ჩაებმება და ამიტომ თავად-აზნაურობას მარტო არ დასჭირდება გასწიოს ხარჯი ნაციონალურ სკოლების შესანახად. ცოდნის შეუძენლად შეუძლებელია ერის ეკონომიური განახლება და გაძლიერება, მაგრამ უსახსროდ დატოვებულ ხალხსაც არ შეუძლიან სწავლა-განათლების საქმეს გაუძლოს. ავტორიტეტის უქონლობამ და ქართველ ინტელიგენციის უნდობლობამ თავად-აზნაურობა განამარტოვა და განსაკუთრებულს პირობებში ჩააყენა. ქართველ თავად-აზნაურობამ კარგა ხანია უარ ჰყო ვიწრო წოდებრივი ინტერესები და თავ-გამოდებით იცავდა ჩვენს ნაციონალურ საქმეს, მაგრამ მას, მადლობის ნაცვლად, თავს ესხმიან ყოველ მხრიდან და ყველანი მტრულად უყურებენ. ამ პირობებში შეუძლებელია თავად-აზნაურობა რაიმე საქმეს გაუძღვეს, როგორც საზოგადოდ, ისე კერძოდ სკოლას გაუწიოს პატრონობა...

შემდეგ მომხსენებელი ეხება ქართულ გიმნაზიას და აღნიშნავს, რომ ეს სასწავლებელი იმდენს ნაყოფს არ აძლევს ხალხს, რამდენიც მაზედ ყოველ წლობით იხარჯება. სოფელი ამ გიმნაზიით ვერ სარგებლობს სავსებით, რადგანაც ღარიბთა უმრავლესობას უჭირს ტფილისში, სიძვირისა გამო, ბავშვების შენახვა. გარდა ამისა, ქალაქის ცხოვრება ძალიან ცუდად მოქმედებს მოზარდ ახალგაზრდობის ზნეობრივ მხარეზე. შემდეგ ბ-ნი მაჩაბელი ამბობს, რომ თავად-აზნაურობამ, მიუხედავად დიდის ხარჯებისა, ვერ შეჰქმნა, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ნაციონალური სკოლა. უმჯობესი იქნება ასობით პირველ დაწყებითი სკოლები პროვინციებში გვქონდეს, ვიდრე ერთი საშუალო სასწავლებელი და ისიც ცუდად დაყენებულიო. ამიტომ, მომხსენებლის აზრით, თავად-აზნაურობა ეხლავე უნდა შეუდგეს ლიკვიდაციას ქართულ გიმნაზიისას და მხოლოდ მანამდე უნდა უპატრონოს მას, ვიდრე ეხლანდელი შტატი მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობა მთავრობის სასწავლებლებში არ მოთავსდებიან. თავად-აზნაურობა უნდა შეუთანხმდეს სამოსწავლო უწყებას, სასწავლებლები უნდა გაიმართოს სიღნაღს, თელავს, გორს, დუშეთს, თიანეთს, შულავერსა და ახალციხეში, ხოლო ტფილისში უნდა იქმნეს სამაგალითო სკოლა, რომელიც შეიძლება შემდეგ „საერობო გიმნაზიად" გადაკეთდესო. ამრიგად პროვინციებში გამართული სკოლები ხელმისაწვდომი გახდება ხალხისათვის და ისინი დიდს სამსახურს გაუწევენ ხალხის გამოცოცხლებას და გათვითცნობიერებასაო.

ბ-ნ მ. მაჩაბლის პროექტი არსებითად დეპუტატთა საკრებულოს ჯერ არ განუხილავს და არავითარი გადაწყვეტილება მის შესახებ ჯერ არ მიუღია.

აბრეშუმის ჭიის თესლის გამო
ცნობა მეაბრეშუმეებს.

თუ რა დიდ საქმეს წარმოადგენს აბრეშუმის საქმე საზოგადოდ, ამაზე ლაპარაკი მეტია. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ ეს წარმოება არა, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო დღეს კერძოდ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა უმეტესობა ამის წარმოდგენა არც კი შეგვიძლია. იყო დრო, როდესაც ამ გუბერნიის მაზრათა უმეტესობის მცხოვრებთ ხვამად მოსდიოდათ სიმინდი და ღვინო, [illegible] თითონაც ყოფნიდათ და გასაყიდადაც რჩებოდათ, ამ უკანასკნელ [illegible] განმავლობაში კი ისე თან და თან იკლო ამ ღრმა წყარომ, რომ დღეს, მრავალ უმეტესობას მაზრის ზემოველებისას ორივე ეს დარგი მეურნეობისა თითქმის გაუქმდა საყოდლად. მაშინ როდესაც წინათ აქაური სიმინდით გემები იტვირთებოდა საზღვარ გარედ გასატანად, წარსულ წელში სიმინდი გროზნიდან აქეთ მოიქცა მოსატანი. ერთად ერთი წყარო, რომელიც ახლა თუ ისე სულს უბრუნებს დღეს გლეხთა უმრავლესობას, არის აბრეშუმის წარმოება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ წარმოების საქმეც ისეთ ნაირათ არის უყურადღებოთ დატოვებული ამ ჩვენს უპატრონო ქვეყანაში, რომ სადაა იმისგანაც უიმედოთ დავრჩებით. საქმე იმაშია, რომ ჭია, რომლიდანაც აბრეშუმის პარკი კეთდება, იჩეკება თესლისაგან; წინეთ სანამ სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობანი გაუჩნდებოდა თესლს, იგი რომელ მეპილედანაც უნდა ყოფილიყო დაყრილი, მაინც სადი იყო, მას შემდეგ კი, რაც თესლს სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობანი გაუჩნდა, თუ განსაკუთრებით არ მომზადდა, უნაყოფო გამოდის. აბრეშუმის თესლს პირველათ ევროპაში გაუჩნდა სენი და ისეთ ნაირათაც, რომ საჭირო შეიქნა საფრანგეთში საქართველოდან გატანათ მისხოლერ ბევრს აქაური ჯურ გიდევ სადი თესლი. ბოლოს კი, სენი როდესაც აქაც გადმოვიდა და იგი საზოგადო შეიქნა, აბრეშუმის წარმოების საქმე სრულ გაქრობას კარამდე მივიდა და გაქრებოდა კიდევ, რომ არ გამოჩენილიყო მეცნიერი პასტერი, რომელმაც გამოიკვლია რა აბრეშუმის თესლის ავათმყოფობანი, თან აღმოაჩინა საშუალებანიც სადი თესლის მოსამზადებლად. დღეს ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც კი აბრეშუმი მოდის, მეაბრეშუმეებმა კარგად იციან, აბრეშუმის თესლი, თუ არა პასტერის სისტემით მომზადებული, უიმედო იქნება და ყველა მეცადინეობს შეიძინოს თესლი პასტერის სისტემით მომზადებული. რაც ჩვენს ქვეყანაში გასაყიდად თესლი მოდის, ყველა კოლოფებს აწერია, რომ თესლი მომზადებულია თანახმად პასტერის სისტემისა, მაგრამ უფრო ბევრ შემთხვევაში ეს სინამდვილესთან შორს არის. კოლოფში ჩაყრილი თესლი გაურჩევლად მომზადებულია, რაც მეაბრეშუმეს, რომელსაც ასეთი თესლი შეხვდება დიდ ზარალში აგდებს. თესლში ბევრი სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობანი, ერთგვარის ავადმყოფობით თესლი გამოჩეკისთანავე ისპობა და ეს კიდევ მაინც მთლად არ ჯავრს არ აწევინებს მეაბრეშუმეს, ხოლო მეორე გვარი ავადმყოფობაა, რომელიც ჭიას ცახზედ ახლოს დროს გამოჩნდება და ბევრის შრომით და ჯაფით აქამდის მოყვანილ ჭიებს სულ ერთიან ანადგურებს. აქედან ცხადად ჩანს, თუ რა დიდი სიფრთხილე ყოფილა საჭირო სადი თესლის შეძენაში. ჩვენებურ მეაბრეშუმეს არავითარი საშუალება არა აქვს სადი თესლის გამოსარჩევად; იგი მიდის ბაზარში და ყიდულობს თესლს იმ მეთესლისაგან, რომელიც მას ხვდება იაფად მიაჩნია. აბა ისე ხომ არ იქნება, როგორც ფრანგი მეაბრეშუმე, რომელსაც იაფად თესლი რომ მიაწოდო, არ აიღებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ სადი თესლი და იაფი არ შეიძლება. ფრანგი მეაბრეშუმეები დიდი ხანია უკვე მიხვდნენ, საქმე რამიცაა და ისინი თესლის არც იაფობით ტყუვდებიან და არც ძვირით. იქაურ მეაბრეშუმეებს საქმე ისე აქვთ მოწყობილი, რომ თესლის მომზადებელს თითონ თესლის მომზადების დროს უწევენ კონტროლს და ამ ნაირათ ისინი ყოველთვის მოგებული გამოდიან. ჩვენებურ მეაბრეშუმეთა მდგომარეობა ამ მხრით სრულიად უნუგეშოა. მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც მთავრობის საგანია დაარსებული ტფილისში და რომლისთვის აუარებელი ფული იხარჯება ყოველ წლიურად, ვერავითარ მზრუნველობას ვერ უწევს მეაბრეშუმეებს. ამ რამდენიმე წლის წინად ზსენებულმა სადგურმა ცდილობდა დაეკანონებინა, რომ ყველა შემოტანილი თესლი სადგურისაგან ყოფილიყო შემოწმებული, მაგრამ ეს რომ მართლაც დაკანონებულიყო, აბრეშუმის ჭიის თესლის საქმეს [illegible] წინ ვერ წასწევდა, რადგანაც ჯერ ერთი, რომ ხომ კარგად ვიცით, ბიუროკრატი მოხელეები თუ რა პირნათლად ასრულებენ შემოწმებას და მეორეც ის არის, რომ შემდეგამდე დაყრილ თესლში შესაძლებელია აღმოაჩინოთ მარტო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც «პებრინა» ეწოდება, რომელიც გამოდგება მეაბრეშუმეასთვის არც იმდენად საშიშია, ხოლო უფრო საშიში სენი თესლის «ფლაშერი» შესაძლებელია აღმოაჩინოთ მხოლოდ თესლის დაყრამდის თითონ შემდეგში და მასმდის ჭიობის დროსაც. ამგვარათ ის თესლებიც კი, რომლებიც სადგურის ბეჭდით ვნდებათ ბაზარზე, არც იმდენად საიმედონი არიან. ამ სამის წლის წინად საქართველოში შემოტანილი თესლებში თავის

ძმებნო, ტანჯვის და სიკვდილის მახეში სიცოცხლის ჯაჭვებით გაბმულნო! მე ვხედავ, მე ვგრძნობ, რომ ტანჯვა დედამიწაზე განუზომელია, რომ ყოველი სიამე ამაოა, მე ვხედავ დაცინვას და ტანჯვას, რადგან სიამენი სევდით თავდებიან, სიყმაწვილე სიბერით, სიყვარული განშორებით, სიცოცხლე საზიზღარ სიკვდილით და სიკვდილს თან ზღევს უცნობნი მომავალნი სიცოცხლენი, რომელნიც აბამენ ადამიანს არსებობის ბორბალთან".[6])

ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ბუდიზმი ფრიად მიავავს ბრამანიზმს და საზოგადოდ ინდოელ შეხედულობას სიცოცხლის ტანჯვაზე და მწუხარებაზე. მხოლოდ ბუდიზმი დამოუკიდებელ გზაზე გამოდის, როდესაც ცდილობს განმარტოს ის თუ, საიდან წარმოსდგა ბოროტება, ადამიანის გარეშე რომ არსებობს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვედანტიზმის შეხედულობით უვიცობაა ერთგვარი კოსმიკური ძალა, რომელიც ჰბადავს ტანჯულ სიცოცხლეს. ბუდიზმი კი ამბობს, ამ კოსმიკურ ძალის შესახებ, რომელიც ქვეყნის გარეშე იმყოფება, ჩვენ არა ვიცით რა. ამიტომ, სჯობია არაფერი ვსთქვათ ობიექტიურ ბოროტების წარმოშობის შესახებ. სამაგიეროდ, ბუდიზმს განსაზღვრული შეხედულობა აქვს სუბიექტიურ სიცოცხლეში არსებულ ბოროტების შესახებ და აქ იგი ისევ ვედანტიზმს უახლოვდება.

მაშ რა მიზეზია სუბიექტიურ სიცოცხლის უბედურებისა? ეს მიზეზი ჭეშმარიტ ცხოვრების არ ცოდნაშია, უვიცობაშია, რომელიც ჰბადავს „სანკარას" (sankâra[7]) ჭეშმარიტ სიცოცხლის ილუზიას. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ „უვიცობას" ბუდიზმი ახალ მნიშვნელობას აძლევს. იგია არა-ცოდნა, და არა კოსმიკური ძალა ბრამანიზმისა. „ილუზია" გვიბადავს სიცოცხლისადმი მისწრაფებას. „მისწრაფება ჰბადავს არსებობას (бытіе), არსებობა ჰქმნის დაბადებას, დაბადება ჰბადავს სიბერეს და სიკვდილს, უბედურებას, სევდას, ტანჯვას, მწუხარებას და სასოწარკვეთილებას. ოლდენბერგი ამბობს: „თანახმად ძველ სამღვთო ვედის ლიტერატურისა, უვიცობა კოსმიკური ძალა არ არის, არ არის მისტიკური პირმშო ცოდვა (первородный грѣхъ), იგია ყველასათვის გასაგები, „მიწიერი" მცნება უცოდინარობისა. უვიცობა— ოთხ საღვთო ჭეშმარიტების უცოდინარობაა.[8])

ეს ოთხი ჭეშმარიტება ქვეყნის მწუხარებას გვაუწყებს. არავის ძალუძს იმისი შეცვლა, რომ ის, რაც ბერდება, არ ბერდებოდეს, რაც ავად ხდება, არ ავადმყოფდებოდეს, რაც კვდება არა კვდებოდეს, ინგრევა არ ინგრეოდეს, რაც ლპება არა ლპებოდეს.[9]) რიზ-დევიდსის აზრით, „მსოფლიო ისტორიაში ბუდიზმმა პირველად აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანთა ხსნა გარეშე მდგარ მსოფლიო სულის დახმარებით კი არ მოხდება, არამედ ადამიანთა თვითგაუმჯობესობით ამ ცხოვრების მიმდინარეობაში. და უფანიშადების მსგავსად, ბუდიზმი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ცოდნას, მაგრამ ეს არ იყო ღმერთის ცოდნა, იგი იყო ნათელი წარმოდგენა ჭეშმარიტ ცხოვრებისა".[10])

ცოდნის მოძღვრება ბრამინთაც ჰქონდათ, ხოლო იგი ბუდიზმის ცხოვრებისაგან განსხვავდებოდა. ბრამინთა განმარტებით, უვიცობა იყო შედეგი პირადი „მეს" და მსოფლიო „მეს" (ატმანი) ერთი-ერთმანეთისაგან განშორებისა. ბუდიზმის განმარტებით კი, უვიცობა იყო არცოდნა მწუხარებისა, არ ცოდნა მწუხარების წარმოშობისა, არ ცოდნა მწუხარების მოსპობისა.

ტანჯვის წყარო სიცოცხლის წყურვილია, რომელიც მუდმივ ხორციელ აღორძინებისაკენ იზიდავს ადამიანს, რომელიც ქვეშა გრძნობებს და სურვილებს ჰბადავს ადამიანში. ტანჯვის წყაროა სიამოვნების წყურვილი, წყურვილი მუდამ ყოფნისა, წყურვილი ძლიერებისა.

ბუდამ აღიარა ჭეშმარიტება ამ ტანჯვის მოსასპობად. ეს წყურვილი უნდა მოიკლას ყველა სურვილების ადამიანის გულში დახშობით. მათ საზღვარი უნდა დაედვას, მათ ზურგი უნდა აჩვენოს ადამიანმა და გასავალი არ მისცეს. გზა, რომელიც ტანჯვისაგან ანთავისუფლებს ადამიანს, შემდეგია: „ეს არის წმინდა რვა-შტოიანი ბილიკი, რომელსაც ჰქვია: ჭეშმარიტი რწმენა, ჭეშმარიტი გადაწყვეტილება, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი საქმე, ჭეშმარიტი სიცოცხლე, ჭეშმარიტი მისწრაფებანი, ჭეშმარიტი აზრი და ჭეშმარიტი თვით შეგნება.

ამ რიგად, აშკარაა, რომ ვედანტიზმი და ბუდიზმი თითქოს ერთ საფუძველზედაც დგანან და თუ განსხვავდებიან, პრინციპებით კი არა, არგუმენტაციის და მეტოდის სხვა და სხვაობით. მაგრამ მსგავსება და განსხვავება ამ ორ სისტემისა თანდათან უფრო ნათლად გადიშლება ჩვენს წინაშე. აქაც მოგვიხდება განყენებულ აზრთა ფარგალში ტრიალი. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საქმე გვაქვს აღმოსავლეთის აზროვნობასთან, რომელსაც ჯერ-ჯერობით რელიგია მეცნიერებისაგან ვერ განუსაზღვრავს, და რომლის თვალში ცოდნა ფაქტების და მოვლენების სისტემატიზაცია არ იყო.

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება)

[6]) Легенды о Буддѣ—Шюрд.

[7]) Sankâra—(ოლდენბერგის განმარტებით)—არ-ცოდნაა, (ჩაილდერსის აზრით)—შეკდომაა; (კერნის განმარტებით)—ცრუ ცოდნაა.

[8]) Ольденбергъ—Будда გვ. 200.

[9]) ibid.

[10]) Lactnses on Origin de grow of eeligion—ly Kys Donids გვ. 29.

კარგის ღირსებით ირჩეოდა ხრისტოდულიდის ფირმის თესლი, რომელსაც ავრცელებდა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა, მის ახლო-მახლო მყოფ მეაბრეშუმეებში, წლიურად ათიდან თუთხმეტ ათას კოლოფამდე. ამ სამ უკანასკნელ წლის განმავლობაში ამ თესლის ხისაღემაც შესამჩნევად იკლო, რომლის მიზეზებსაც დავინახავთ ქვემოთ და რაზედაც მინდა მივაქციო ყურადღება იმ მეაბრეშუმეებისა, რომელნიც ამ ფირმის თესლს დღესაც ეტანებიან. ამ სამი წლის წინათ და დღიდან ამხანაგობის დაარსებისა ამხანაგობის საქმეებს წინ უძღვეოდა ამხანაგობის დამაარსებელი აწ უკვე გარდაცვალებული ნესტორ წერეთელი, რომელიც იყო ფრიად მეხიყვარულე ამხანაგობის საქმეებისა და თან უანგარო მოღვაწეც. მან ამხანაგობის დაარსებისთანავე პირველათ ყურადღება მიაქცია აბრეშუმის ჭიის თესლის საქმეს და გამოსძებნა საიმედო მეთესლე ქ. ქრისტოდულიდი, რომელთანაც იქონია პირდაპირი კავშირი. ამ მეთესლეს მან მისი კარგი ღირსების თესლის საქმე კიდევ უფრო კარგ ნიადაგზე დააყენებია მით, რომ ფასებზე არ ეჩარჩებოდა. მეთესლე დარწმუნებული რომ თესლი საღირალ ფასებში გაუსაღდებოდა და თან მუდმივი მუშტარიც ეყოლებოდა, რასაკვირველია, თესლს კარგი ღირსებისას ამზადებდა. ამიტომ იყო, რომ ამ ფირმის თესლი ამხანაგობის ბეჭედ დაკრული ყოველ წლიურათ სანთლით საძებრათ გადიქცა მეაბრეშუმეთათვის. 1905 წლიდან ამხანაგობის საქმეებს ახალ ხელმძღვანელთა ხელში ფერი ეცვალა. ამ ახალმა ხელმძღვანელებმა, იმის მაგივრათ რომ ამხანაგობისათვის უფრო კარგი საიმედო მეთესლე გამოეძებნათ იმ მეთესლესთანაც კი გასწყვიტეს პირდაპირი კავშირი, რომელსაც ამხანაგობა უკვე დიდი ხნოდანვე საიმედოთ იცნობდა. მათის ახალის მოსაზრებით ამ მეთესლის და ამხანაგობის შუა საჭირო შეიქნა ჩაეყენებინათ დალალები, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ მათ ვერ შესძლეს და ვერ მოახერხეს პირდაპირ მოლაპარაკებოდნენ მეთესლეს, არამედ იმიტომ, რომ დალალის საშუალებით უფრო მოსახერხებელი იყო მათთვის ეღლიტათ მეთესლეც და ამხანაგობაც. მეთესლემაც შესაფერისათ შესცვალა თესლის ღირსება და ამიტომაა, რომ წინანდელ ექვს მისხლიან «წერეთლის თესლზე» (ასე ეძახდნენ ამ თესლს) თუ სამ ფუთზე ნაკლები მაინც არ მოდიოდა, დღეს იმავე წონის თესლზე ერთ ფუთ ნახევარზე მეტი არაფერ შემთხვევაში არ მოდის და ბევრი წილი კოლოფებისა მთლათ ყალბი გამოდის და ხელცარიელზე სტოვებს მყიდველს. მეაბრეშუმენი უფრო უკეთეს თესლს რომ ვეღარ ხედვენ ბაზარზე, ისევ ამ ნაჩვევ ფირმის თესლს ეტანებიან და ვისაც წინათ ერთი კოლოფი ყოფნიდა მოსავლელად, ეხლა სამ კოლოფს ყიდულობს, რა არის იქნება ერთი კოლოფის მაგიერობა მაინც გასწიოსო. გასულ 1907 წელში ნაპარკებს ამხანაგობის ხელმძღვანელმა გამოაცხადა მეაბრეშუმეებში, რომ ვისაც საგაისოთ ნამდვილი საღი თესლი გესურვებათ, ეხლავე შემოიტანეთ ბეთ კოლოფზე ათი მაურიო. ასეთი ათი მაურები ამხანაგობაში ბევრი შევიდა, მაგრამ ამხანაგობის ხელმძღვანელმა იმის მაგიერ, რომ დანაპირები აესრულებია, თესლის შეძაძენათ მიმართა ისევ თავის ძმობილს, ბათუმელ დალალს, რომე თანაც საქმე ხალხში განცხადების გამოშვებამდისაც ჰქონდა გაკეთებული და ხალხი ათი მაურის ბეების შეტანით უფრო მაგრათ ჩაიჭირა ამ ყალბი თესლის გასასაღებლათ. ამ დალალისაგან ნაყიდი თესლი ისევ ხრისტოდულიდის ფირმისაა, მაგრამ ამ ფირმის თესლს წელს ზედმეტათ კიდევ ერთი უიმედობა ერთვის: თითონ მეთესლე ქ. ქრისტოდულიდი გასულ წელში თესლის მომზადებამდის გარდაიცვალა და თესლის მომზადების საქმე გადავიდა მის მემკვიდრეთა ხელში, რომელთაც ვინ იცის რა ჯურის თესლი მოათავსეს თავიანთ კოლოფებში. ასეთ საეჭვო მდგომარეობაშია თესლის აღებ-ძიცემობის საქმე ჩვენში და ჯერ კიდევ არც არავინ ფიქრობს მის გაუმჯობესებაზე. ნუ თუ დრო არ არის შეიგნონ მეაბრეშუმეებმა ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საჭიროება. საჭიროა მეაბრეშუმეთაგან შესდგეს კავშირები და ეს კავშირები უნდა ეცადნენ მომავლისათვის მაინც დაიკავონ საქმე საიმედო მეთესლეებთან. ვისაც მომავალ წლისათვის საღი თესლი სურს, მან ამ თავითვე უნდა იფიქროს ამაზე, რადგანაც საღი თესლის მომზადების საქმე იწყება დღიდან თესლიდან ჭიების გამოჩეკისა და არა მარტო პეპლიდან თესლის დაყრის შემდეგ.

ა. გორდაძე.

რუსეთი

✦ **ესტონელთა პრესსის იუბილეი.** მიმდინარე წელს სწორეთ ასი წლისწოდი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველი გაზეთი გამოვიდა ესტონურ ენაზე. პატარა ერის ცხოვრებაში ეს დიდათ საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც პერიოდული გამოცემა ესტონელებისთვის ერთად-ერთი საშუალებაა კულტურულ აღორძინებისათვის. ისტორიულ მიზეზებისა გამო ესტონელთა ინტელიგენცია დაშორებული არასოდეს არა ყოფილა ხალხისაგან; იგი ყოველთვის იმისთვის მუშაობდა, რომ ხალხში განათლება, შეგნება და თვითცნობიერება შეეტანათ. ამ მიზნის განხორციელებას თავიდანვე ხელს უწყობდა სახალხო გაზეთი, რომელსაც უღარიბეს ესტონელ ოჯახშიაც ნახავდა ადამიანი. სახალხო გაზეთი ასაზრდოებს გლეხს, ამ გაზეთიდან იძენს იგი საჭირო ცოდნას, ამავე გაზეთის საშუალებით იწვრთნება იგი სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში. იმ დროს, როდესაც ერის „უმაღლეს“ წრეებში უთანხმოება დაიბადებოდა მახლობელ საერთო მიზნებისა და ლოზუნგების შესახებ, ესტონელები დავას ამ სახალხო გაზეთებში გადაიტანდნენ ხოლმე, და მაშინ თვით ხალხი გამონახავდა ხოლმე დამაკმაყოფილებელ პასუხს. ესტონელების ლიტერატურა, უეჭველია, უფრო განვითარდებოდა, რუსეთის მთავრობას რომ რეპრესიებისთვის არ მიემართა. ერთი წლის განძავლობაში მთავრობამ აურაცხელი გაზეთები და საზოგადოებანი დაჰხურა. ამისთანა პირობებში იუბილეის, რა თქმა უნდა, სადღესასწაულო ელფერი არ ექნება; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოედო ესტონელებს.

✦ **ციმბირის ავტონომია.** ციმბირის დეპუტატებმა გადაუწყვეტიათ შეადგინონ კანონ-პროექტი ციმბირში საერობო თვით-მმართველობათა შემოღების შესახებ. კომისიის ერთი წევრისთვის დაუვალებიათ ნ თებერვალისთვის შეადგინოს საზოგადო დებულებანი ამ კანონ-პროექტისა. კომისიაში სამს მიმართულებას უჩენია თავი: პირველს აზრათა აქვს ციმბირის საგუბერნიო საერობო თვით-მმართველობანი შეაერთოს და მოითხოვოს ციმბირის ავტონომიური სათათბირო, მეორენი საჭიროთ ხედავენ კადეტების კანონ-პროექტს დაუჭირონ მხარი, მესამენი 1864 წ. საერობო დებულებით კმაყოფილდებიან და მხოლოდ მის ტეხნიკურ მხარის შეკვლას თხოულობენ.

✦ **სოციალ-დემოკრატების დატუსაღება.** როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, მოსკოვში საიდუმლო პოლიციას სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორი სარაიონო კრების წევრები დაუტუსაღებია. პირველში 16 კაცი ყოფილა, მეორეში კი—7.

✦ **მილიუკოვის ისტორია.** მილიუკოვს წინააღმდეგ გამართულმა დემონსტრაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მემარჯვენენი, რა თქმა უნდა, სიხარულით ცას ეწევიან, ოქტომბრისტების ლიდერი გუჩკოვი ფიცულობს, ბოიკოტის ინიციატივა ოქტომბრისტებს არ ეკუთვნის, ოქტომბრისტებმა მხოლოდ მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებსაო. ფიქრობენ, რომ მემარჯვენენი დემონსტრაციას აღარ მოახდენენ. თვით მილიუკოვს უთქვამს: „სამშაბათს მე აუცილებლად ვილაპარაკებ დაწვრილებით, ეხლა არ ვიცი რა შინაარსისა იქნება ჩემი სიტყვა, მაგრამ აზრათ კი მაქვს პატრიოტიზმზე ვილაპარაკო. მე მინდა დავუმტკიცო ჩემს მოწინააღმდეგეებს, რომ ჩემზე უკეთესი პატრიოტები ისინი არ არიან; მე იმათზე ძალიან მიყვარს სამშობლო, მაგრამ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს მე ისე არ ვუყურებ, როგორც ისინი.

✦ **იარაღის აღმოჩენა.** როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, მაკაოს მახლობლად დაუჭერიათ იაპონიის გემი, რომელზედაც რევოლიუციონერთა იარაღი აღმოუჩენიათ.

ვინაა მართალი

(წერილი რედაქციის მიმართ *)

ნათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მეც ასე მოვიქეც სამღვდელოების უკანასკნელ კრებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, „მოყვარეთ“ იწყენს ჩემი მართალი სიტყვები და ამა თუ იმ საშუალებით ჩემ შესახებ გავრცელდეს საზარელი ხმები. სხვათა შორის, გამოაცხადა ჩემ წინააღმდეგ „ისარში“ უსახელო ავტორმა და მე 6 №-ში მოათავსა წერილი**) შემდეგის სათაურით: „უკანასკნელი კრება სამღვდელოების დეპუტატებისა“. ამ წერილში გამოთქმულია ის აზრი, ვითომ მე მომხრე ვიყავ ამერ-იმერთა სამღვდელოების შორის „შუღლის და მტრობის“ ჩამოგდება. ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია, რადგან ხსენებულ კრებაზე დავპარკი იყო ჩამოვარდნილი ეკონომიურ საკითხზე და არა „იმერ-ამერობაზე“. მე ვამტკიცებდი შემდეგს: რადგანაც ქართლ-კახეთს (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს), იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებს (დასავლეთ საქართველოს) საკუთარი საეკლესიო ხაზინები და სანთლის ქარხნები აქვთ, ამიტომ სემინარიის შენახვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ დასავლეთ საქართველოს ეპარქიებმაც და მათ უნდა მაინც შეუმსუბუქონ აღმოსავლეთ საქართველოს ეს მძიმე ტვირთი მუხლი. მამა დეკ. თადიაშვილი კი ამტკიცებდა სულ სხვას, მოუვანილი მისი ცნობები, უმეტეს წილად მოთხზული იყო და კრებაზედვე დარღვეული ჩემ მიერ მოყვანილ ცნობებით. მივმართოთ ამ საქმის ისტორიას და საბუთებს ხელწერილებს და გავარკვიოთ, ვინ არის მართალი.

საქართველოს ეკლესიას, ბევრათ წინ რუსეთთან შეერთებისა, ჰქონდა საეკლესიო მამულები, მხოლოდ გაცალკევებით ყველა ეპარქიას. ამ მამულებით კმაყოფილდებოდა ყველა მოთხოვნილება საეკლესიო, სამრევლო და სამღვდელოებისა. საეკლესიო მამულები სავგირგლათ იყო გაყოფილი: ყველა ეკლესიას, მონასტერს თავისი საკუთრება ჰქონდა, საკუთარი გლეხები ჰყავნდა, მამულები ჰქონდა და სხ. რუსეთთან შეერთების შემდეგ 1817 წ. დაარსდა თბილისის სემინარია და მასთან ორი «уѣздныя приходскія училища въ Телавѣ и Сигнахѣ». 1818 წელს ამნაირივე სამაზრო სამრევლო სასწავლებელი არსდება ქ. გორში. ამ ყველა სასწავლებლებს საეკლესიო მამულების შემოსავალი ინახავდა. ეს შემოსავალი სიონის ხაზინადრის ხელთ იყო და ის აკმაყოფილებდა (იხილე საქმეები სემინარიის არხივისა 1817—18 წ. №№ 3—5, 10—13, 23, 24 და 25). ათის რვაას მეოცე წლებში დაარსდა ქუთაისში სამაზრო სამრევლო სასწავლებელი, რომელიც ინახებოდა ადგილობრივ მამულების შემოსავლით, მხოლოდ განკარგულება ეძლეოდა ტფილისის სემინარიიდან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიაც დაემორჩილა სინოდალურ კონტორას, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა ისეთის კომისიის ხარჯი 10,000 მ. წელიწადში გაეწერათ აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოს ეკლესიებზე სანახევროდ, ე. ი. 5,000 მ. აღმოსავლეთის საქართველოს გადაეხადა და 5,000 მ. დასავლეთისას, უკეთ წილის, მაგრამ რადგანაც დასავლეთის ეკლესია გადატაკებული იყო და სახსარი არა ჰქონდა, ამიტომ მთელი ეს ხარჯი დასავლეთ საქართველოს წილით და კანცელარიის ხარჯით, წელიწადში 11,750 მ. აღმოსავლეთ საქართველოს დააწერეს 1860 წლამდის, სანამ მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება არ დაარსდა. ანტონ კათალიკოსის გაწვევის შემდეგ რუსეთში აღმოსავლეთის საქართველოს საეკლესიო ხაზინას დიდძალი ფული რჩებოდა და უკეთ წილის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ. ამ ფულით იყიდეს: 1) ფრანგის ჟან-დიუ-შალ-კუტეტის ორ სართულიანი სახლი 1821 წ. მარტს, ზემო სართულში მოათავსეს სინოდალური კონტორა არქივით და ქვემოთ—уѣздное приходское училище სახლში მისცეს 7,010 მ. 46 კ. ეგზარხოსისათვის შეიძინეს სახლი გუბერნატორისა, ეგზარხოსის ეხლანდელი სადგური და ორი სახლი იქვე, რომლებშიც გუბერნსკოე პრისუტსტვიე იყო (ეხლანდელი კონტორის შენობა). ამ სამივე სახლში მისცეს 27,149 მ. 4 კ. იყიდეს აგრეთვე სახლი კონტორის არხივისათვის სამთო უწყებისაგან, სადაც წინათ პრობირნაია პალატა იყო და კონტორის არხივია ეხლა მოთავსებული, ამ სახლში მისცეს 1,000 მ. რაც ფული რჩებოდა ზემოხსენებულ ხარჯს გარდა, უკეთ წილის იგზავნებოდა მოსკოვში და იქ ინახებოდა Въ сохранной казнѣ Импер. Воспитательнаго дома Московъ. Опекун. Совѣта. 1839—40 წლებამდე აღმოსავლეთის საეკლესიო ხაზინას ჰქონდა მოსკოვში შენახული 500,636 მ. 30 კ. აქედგან 82,000 მ. მიეცა ზუბალოვს ქართულ სემინარიისთვის ნაყიდ მეხობაში, მაწის გარდა, რომლის საბადლოთ მიუზომეს ზუბალოვს საეკლესიო მიწა ტფილისში 952 საჟენი. გარდა ფულისა და მიწისა მასვე დაუთმეს ის ძველი სახლები, რომელიც იყო ფრანგისაგან შეძენილი. ამ სახით, სემინარიის შენობა მიწით და ფრანგის სახლით დაუჯდა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას არა ნაკლებ 90,000 მანეთისა. მეკეთება ამ შენობისა დიდი თუ პატარა უთუელთვის სწარმოებდა აღმოსავლეთის საქართველოს ეკლესიის ხაზინის ფულით დასავლეთ საქართველოს რომ მეძლება ჰქონდა, უნდა მოსდგომოდა და მხარი მოეცა აღმოსავლეთის საეკლესიო ხაზინისათვის შემდეგ ხარჯებში: ეკისრნა ეგზარხოსის ჯამაგირის ნახევარი 3,500 მ. წელიწადში, ეგზარხოსის, კონტორის და სემინარიის შენობის შეკეთება წელიწადში არა ნაკლებ 2,000 მ. პროკურორის ჯამაგირის ნახევარი, არხავარიუსისა, ხაზინადრისა და სხვა მოხელეთა და კიდევ მეორე წევრისა, სახლის ქირა და ხარჯი 2,500—3,000 მ. წელიწადში მამასადამე უკეთ წილის დ.-საქართველოს უნდა ეკისრნა არა ნაკლებ 14,175 მან. ამას გარდა უნდა მოგვეგომოდა სახლების შეძენაში ფრანგისა, ეგზარხოსისა, კონტორისა, სემინარიისა და სხვა, სულ 125,159 მ. და იმის წილით 62,579 მ. 75 კ. უკეთ წილის გადასახადს უნდა მოუმატოს, რაც შენახვა ჯდება სემინარიისა 42,000 მ. ამის ნახევარი 22,000 მ. და სულ გამოვა 14,175+21,000=35,175 მ. უკეთ წილის და ერთბაშათ მამოტანა ჯამი 62,579 მ. და მაშინ ჭორშიაც და ლხინშიაც ლვიძლი ძმები ვიქნებოდით, მაგრამ, საუბედუროთ, დ. საქართველოს არაფერი შემოუტანია, აღმოსავლეთ საქართველოსთან თანაბრივათ უხმარნია ყველა ზემოთ მოყვანილი დაწესებულებანი და ეხლა მოსულა ავიუგორის, ჩვენც არის ეს ყველაფერი, თუ დამაშორებთ, იმერ-ამერეთის საქმეს აღვძრამ და გავამწვავებთ. რა თქმა უნდა, ამ საქმეში დ. საქართველო არა შუაშია, იმის სახელით ხედაობენ ზოგი პირნი და თავიანთ წინდაუხედაობა სურთ დ. საქართველოს იახელს შეუერთონ. ეხლა ვნახოთ ისტორია სემინარიისა რას მოგვითხრობს.

მღ. ი. ჩიჯავაძე.

(შემდეგი იქნება)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად, როგორც მამა ჩიჯავაძის თავისმართლებას. უეჭველია, ვისაც ჯერ არს, ამ წერილს უპასუხოდ არ დასტოვებს. რედ.

**) ავტორი აქ არაფერ შუაშია: ეგ წერილი კი არ იყო, არამედ კრების ანგარიში, კორესპონდენტის მიერ ჩვეულებრივ შედგენილი. რედ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

მე ამ დღეებში შევაგროვე ნაცნობთა შორის ოცდა ორი მანათი ფული ერთი პირის სასარგებლოდ. რადგან ჩემ მიერ შეგროვილი ფული აღარ დასჭირდა იმ საქმისათვის, რომლისთვისაც იყო შეგროვილი, ამიტომ გთხოვთ ეს ფული მიიღოთ და გარდასცეთ დამშეულ ხალხის მოსახმარებლად*).

ივანე ზაალის ძე ხიმშიაშვილი.

*) ფული გადაეცემა ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას.

რედაქტორი ვლ. გუნია.

გამომცემელი ე. ავალიშვილი.

განცხადებანი

ქუთაისში

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილები

ს.უ. დეგა გამენცელი ბამბა

ხელმისაცემ ფასებში. (10—კვ.—3)

საოჯახო სასტუმრო „Семейные номера“

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ ნაწეთიან ოთახს. (20—509—18)

პირველი კერძო სამკურნალო დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა.

ღ ე ბ ი:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურ[illegible] ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

დ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვლისა, [illegible] ნავან და ნერვებისა.

ს. ა. მახარაძე: 10—11 ს. საბებიო, [illegible] ლებისა და ბავშვების.

მ. გ. ავალიშვილი: 11—12 ს. კანისა, [illegible] ფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. [illegible]: 12—1 ს. შინაგან, ბავშ[illegible] ბისა და ყვავილის აცრა.

გ. ა. [illegible]: 12—1 ს. ყურისა, ცხ[illegible] რისა და ყელისა.

ა. [illegible]: 1—1½ ს. შინაგ[illegible] და საბავშვო.

ა. [illegible]: 1½—2 საათამ. საბებ[illegible] და ქალებისა.

ა. ა. [illegible]: 11—12 საათ. ქალებ[illegible] და საბებიო.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ბ. ა. [illegible]: 6—7 ქირურ., ვენ[illegible] შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კო[illegible] სულტაციები და ოპერაციები შეთანხ[illegible] ბით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი (544—წლ.—2[illegible])

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ საწოლებით. ავადმყოფთა მიღ[illegible] ყოველ დღე.

ადრესი: ელისაბედის ქ., № 79, ტელეფ. 10[illegible]

მიხ. [illegible]: 11—12 ს. შარდ., კ[illegible] და სიფილ.

ნ. ნ. [illegible]: 11—12 ს. ნერვ. ავ[illegible] ელექტ. წამლობ.

გ. ა. [illegible]: 11—1 ს. შინაგანი.

ა. მ. [illegible]: 1—2 ს. ქირურგიული.

მ. რ. [illegible]: 1—2 ს. ყელისა, ყურ. ცხვირისა.

მ. ა. [illegible]: 2—3 ს. ბავშვისა და შინა[illegible] ყოველ დღე, სამშაბათსა და პ.რასკ. გარდა.

ი. ნ. [illegible]: საღამ. 5—6 ს. ქალისა ბებიობა.

მკურნალობა ჰიპნოზით; მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, [illegible] რეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯ[illegible] რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაცია და კონს[illegible] ტაცია მორიგებით. არის საზოგადო პალატ[illegible] და ცალკე ოთახები. (100—551—1[illegible])

ისყიდება

პატარა ნაშენი მიწისა—92 საჟენი [illegible] მთა—ვერაზედ, ქართულ გიმნაზიის [illegible] ლომლად. მსურველმა უნდა მიმართოს [illegible] მეურნეო ბანკში გრ. ყიფშიძე. (3—[illegible])

აფსარქისოვის საწყობი

ქარხანა

ჰყიდის ხილის ნერგებს საზღვარ[illegible] რეთის, რუსეთის და კავკასის ჯიშებისა. ადრესი: Станція Скра З. Ж. [illegible] Авсаркисову. კატალოგი მსურველ[illegible] უფასოთ ეგზავნება. (15—62—4)

ქუთაისში

ამერიკულ ვაზის სანერგე „კლო-ვაურუ[illegible]“

ამით აცხადებს, რომ მსურველთ [illegible] ზავნის უფასოდ პრეის-კურანტებს [illegible] ყვერი მოლაპარაკება შეიძლება რუ[illegible] თის საზოგადოების კანტ[illegible] რაში, კორონცოვის ქუჩა. (6—კვ—6)

მეჩექმეთა ამხანაგობა

ნდობა

[illegible]

(20—6.—6) გამგე ბ. [illegible]